ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3652835

ნომერი: AR1552294

თარიღი : 25.10.2017

გაცემის თარიღი : 01.11.2017

გაცნობის თარიღი : 01.11.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა , მერაბ კოსტავა , N 76ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შალვა სირაძე პ/ნ 01005004893
- თბილისი ზ.ჭავჭავაძის ქ. N 9 ბ. 21

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
-საპროექტო ფოტომონტაჟზე მიუთითეთ სარეკლამო აბრის გაბარიტული ზომები და მასალა.
-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-18 მუხლის მე-10 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად განაშენიანების რეგულირების წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით მოწყობილი საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე (არა)საცხოვრებელი ერთეულის შესაბამისი ფასადის ან/და სახურავის ნაწილის ფართობის 20 %-ს. აღნიშნულის შესაბამისად დაიანგარიშეთ სარეკონსტრუქციო სახურავისა და სარეკლამო აბრის პროცენტულობა და დაიტანეთ ფოტომონტაჟზე.
-წარმოადგინეთ განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. ვინაიდან სამუშაოების განხორციელების ინტერესი აქვს მოსარგებლეს, წარმოადგინეთ სარგებლობისა და განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. გაითვალისწინეთ, რომ საჯარო რეესტრის შესახებ კანონის მე-11 მუხლის თანახმად, 1 წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულება საჭიროებს საჯარო რეესტრში რეგისტრაციას. იმ შემთხვევაში თუ სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით სამუშაოების განხორციელების უფლებამოსილება მინიჭებული არ გაქვთ, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ " საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად, წარმოადგინეთ სათანადო წესით დამოწმებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით (კრების დამსწრე წევრების რიცხვითი და %–ული რაოდენობის მითითებით), რომლის თანახმად, კრების დამსწრე წევრები შეადგენენ ამხანაგობის წევრთა სრულ რაოდენობას (100%) და ჩასატარებელ სამშენებლო სამუშაოებს მხარს უჭერს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ყველა წევრი (100%).

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი. გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.